თვითრეგულირება

2009 წლის 12 მარტს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" სახით.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლითა და "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე-7 მუხლის საფუძველზე, მაუწყებლებს განესაზღვრათ ვალდებულება, შეექმნათ თვითრეგულირების მექანიზმი.

შპს "ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-ის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების ზედმიწევნითი დაცვით შემუშავებული აქვს თვითრეგულირების ეფექტური მექანიზმი, რომელიც შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და ითვალისწინებს საჩივრის ეფექტიანად განხილვის გამჭვირვალე პროცედურას და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შპს "ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-მა შექმნა დავის განმხილველი ორგანო, რომელიც არსებობს ორი ინსტანციის სახით: პირველი ინსტანცია - "კომისია" და მეორე ინსტანცია "სააპელაციო საბჭო".

პირველი ინსტანცია - "კომისია"	მეორე ინსტანცია "სააპელაციო საბჭო".
არჩილ ადამია (პ/ნ 09001026085) კუკური თოფურია (პ/ნ 01008041161) ნანა ლეჟავა (პ/ნ 35001026152)	სანდრო კბილაშვილი (პ/ნ 01017037067) გიორგი ლელაშვილი (პ/ნ 24001005274) ნინი ყალაბეგაშვილი (პ/ნ 01005038448)

დაინტერესებულ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ შპს "ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-მა დაარღვია "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" დადგენილი ეთიკური სტანდარტები და მისი უფლებები, შეუძლია მიმართოს მაუწყებელს საჩივრით და მოითხოვოს რეაგირება.

საჩივრის გამოგზავნის სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია, ჩააბაროს შესაბამისი დოკუმენტაცია თვითრეგულირების მექანიზმის სახელზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ზოვრეთის ქ. #1, ან გაგზავნოს საჩივარი ელექტრონული სახით შემდეგ მისამართზე: contact@tv24.ge

შპს „ტელე-რადიო კომპანია ტვ 24 "-ის
დირექტორი ნანა ლეჟავა